



კომერციული ბანკის საკუთარი კაპიტალის საკმარისობის შეფასების მეთოდები

რეზიუმე

სტატიაში, უახლეს ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, განხილულია საბანკო საქმის თეორიისა და პრაქტიკის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა კომერციული ბანკის საკუთარი კაპიტალის საკმარისობის შეფასების მეთოდები.

სადღეისოდ კომერციული ბანკები ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინსტიტუტებია ნებისმიერ ქვეყანაში. ისინი უზრუნველყოფენ სწრაფ ანგარიშსწორებას ეკონომიკური აგენტებს შორის, ხელს უწყობენ მოსახლეობისა და კომპანიების დანაზოგების ინვესტირებას და მთლიანად ეკონომიკურ განვითარებას. ქვეყნის ეკონომიკასა და საბანკო სექტორს შორის ძალიან მჭიდრო კავშირია. ერთი მხრივ, საბანკო სექტორის სტაბილურობას გადამწყვეტი როლი აქვს ფინანსური სახსრების ეფექტიან განათავსებასა და ეკონომიკური ზრდის გაძლიერებაში. მეორე მხრივ, მაკროეკონომიკური გარემო გავლენას ახდენს საბანკო სექტორის მდგომარეობასა და სტაბილურობაზე.

გლობალიზაციის კონტექსტში და საერთაშორისო ინტეგრაციის პირობებში ქვეყნის ეკონომიკა უფრო გამჭვირვალე და ღია გახდა, რამაც ხელი შეუწყო დაუცველობის ზრდას გარემოსოფლიო მაკროეკონომიკური შოკების მიმართ. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ხშირი კრიზისები მსოფლიოში იღებენ სულ უფრო სერიოზულ მასშტაბებსა და შედეგებს. კრიზისების ეფექტები გაფლენას ახდენენ ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში, მათ შორის საბანკო სექტორის სტაბილურობაზე.

აქედან გამომდინარე, დღესდღეობით მკვლევართა უმეტესობა ორიენტირებულია მაკროეკონომიკური შოკების გავლენის კვლევაზე საბანკო სექტორში. თემა ფრიად აქტუალურია, რადგან კრიზისის დროს ბანკები და მათი სტაბილურობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად და ნაკლები დანაკარგებით გადალახავს ქვეყანა მაკროეკონომიკურ შოკებს. ამაში ლომის წილი მიუძღვის კომერციული ბანკის საკუთარი კაპიტალის საკმარისობის სწორად შეფასებას.

მერაბ ვანიშვილი
სტუ-ს პროფესორი,
ეკონომიკის დოქტორი
E-mail: merabvanishvili@yahoo.com

ირმა ლომაძე
სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: irma_lom@yahoo.com
დავით ხაჭაპურიძე
სტუ-ს დოქტორანტი

ცალსახა პასუხი კითხვაზე, თუ რამდენი უნდა იყოს ბანკის საკუთარი კაპიტალი, შეუძლებელია იყოს ზუსტი, რადგან თითოეული ბანკი თავისთავზე იღებს გარკვეულ რისკს. თუმცა, მხოლოდ ბანკის სურვილი არ არის საკმარისი კაპიტალის ოდენობის დასადგენად. ბანკმა უნდა შეაფასოს და გაზარდოს სააქციო კაპიტალი აქტივების ზრდისა და მოზიდულ სახსრებზე საბანკო ოპერაციების რისკების შესაბამისად.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, მაკროეკონომიკური შოკი, საკუთარი კაპიტალის საკმარისობა, კაპიტალის ადეკვატურობა, ფინანსური ლევერიჯი, საზედამხედველო კაპიტალი.

შესავალი: სადღეისოდ კომერციული ბანკები ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინსტიტუტებია ნებისმიერ ქვეყანაში. ისინი უზრუნველყოფენ სწრაფ ანგარიშსწორებას ეკონომიკური აგენტებს შორის, ხელს უწყობენ მოსახლეობისა და კომპანიების დანაზოგების ინვესტირებას და მთლიანად ეკონომიკურ განვითარებას. ქვეყნის ეკონომიკისა და საბანკო სექტორს შორის ძალიან მჭიდრო კავშირია. ერთი მხრივ, საბანკო სექტორის სტაბილურობას გადამწყვეტი როლი აქვს ფინანსური სახსრების ეფექტიან განათავსებასა და ეკონომიკური ზრდის გაძლიერებაში. მეორე მხრივ, მაკროეკონომიკური გარემო გავლენას ახდენს საბანკო სექტორის მდგომარეობასა და სტაბილურობაზე.

გლობალიზაციის კონტექსტში და საერთაშორისო ინტეგრაციის პირობებში ქვეყნის ეკონომი-



კა უფრო გამჭირვალე და ღია გახდა, რამაც ხელი შეუწყო დაუცველობის გაზრდას გარე/მსოფლიო მაკროეკონომიკური შოკების მიმართ. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ხშირი კრიზისები მსოფლიოში იღებენ სულ უფრო სერიოზულ მასშტაბებსა და შედეგებს. კრიზისების ეფექტები გავლენას ახდენენ ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში, მათ შორის საბანკო სექტორის სტაბილურობაზე.

აქედან გამომდინარე, დღესდღეობით მკვლევართა უმეტესობა ორიენტირებულია მაკროეკონომიკური შოკების გავლენის კვლევებზე საბანკო სექტორში. თემა ფრიად აქტუალურია, რადგან კრიზისის დროს ბანკები და მათი სტაბილურობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად და ნაკლები დანაკარგებით გადალახავს ქვეყანა მაკროეკონომიკურ შოკებს. ამდენად, მნიშვნელოვანია კომერციული ბანკის საკუთარი კაპიტალის საკმარისობის სწორად შეფასება.

კვლევის შედეგები: საბანკო საქმიანობის ერთერთი შემფასებელ მაჩვენებელს წარმოადგენს კაპიტალის ადეკვატურობა, რომელიც გამოიანგარიშება სხვადასხვა კოეფიციენტებით. ეს მაჩვენებელი ღირებულია იმით, რომ საკუთარი კაპიტალის როლი საბანკო საქმიანობაში საკმაოდ სპეციფიკურია და ეს აისახება გარკვეული ფუნქციების განხორციელებისას.

კაპიტალი ბანკის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, რომელიც უზრუნველყოფს მის არსებობას მომავალში. ადეკვატურად კაპიტალიზირებული ბანკები იზრდებიან და მომხმარებელს სთავაზობენ პროდუქციის და მომსახურების ფართო სპექტრს, რაც მათ კონკურენტუნარიანობას და მომგებიანობას განაპირობებს. ადეკვატურად კაპიტალიზირებულ ბანკებს შეუძლიათ: უკეთესად გაუძლონ დროებით უარყოფით ეკონომიკურ პირობებს; გაუმკლავდნენ მსესხებლების მხრიდან გადაუხდელობის ზრდას; იოლად მოიზიდონ სახსრები ფულის ნაკლებობის შემთხვევაში; ერთდროულად გადაჭრან რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა და გამოიყენონ არსებული შესაძლებლობები; მოიზიდონ და შეინარჩუნონ კვალიფიცირებული მენეჯმენტი და თანამშრომლები.

სუსტად კაპიტალიზირებული ბანკები ნაკლებად კონკურენტუნარიანი არიან. მათ არსებობას ნებისმიერი პრობლემის წარმოქმნამ შეიძლება შეუქმნას საფრთხე. ცუდად კაპიტალიზირებული ბანკების მფლობელებს მენეჯმენტისგან შეიძლება სურდეთ უფრო მაღალ რისკ-

თან დაკავშირებული საქმიანობის წარმოების დაშვება სესხის გაცემის, ან ინვესტირების თვალსაზრისით. თუ სარისკო პრაქტიკა გაგრძელდება და ბანკი მომგებიანი გახდება, მფლობელი მიიღებს მოგებას. თუ სარისკო ოპერაციები წარუმატებლად დასრულდება, ბანკის კაპიტალი უარყოფითი გახდება და მფლობელები არ დაკარგავენ მნიშვნელოვან ინვესტიციას. დანაკარგების უმეტესობა მოვა ბანკის კრედიტორების წილად, რომელთა შემადგენლობაშიც შეიძლება შედიოდნენ მოქალაქეები, სხვა ბანკები და/ან მთავრობა.

ბანკის სააქციო კაპიტალის ოპტიმალურობა დაკავშირებულია მის რეალურ საქმიანობასთან, რომელიც საბანკო საქმიანობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა გაზრდილი რისკების ფონზე. სააქციო გაცემების განახლება დამატებითი აქციების გამოშვებით საკმაოდ ძვირი გზაა დაფინანსებისა თავისუფალი თანხების მესამე პირებისგან (ორგანიზაციებისგან) და მოსახლეობისგან მოზიდვასთან შედარებით. ოპტიმალური თანაფარდობა ბანკის საკუთარი კაპიტალისა აქტივებთან და მოზიდულ სახსრებთან შედარებით უნდა იყოს ადეკვატური იმ რისკთან შედარებით, რომელშიც იმყოფება ბანკი და ბანკის მომხმარებლები.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ბანკი რომელიც აკმაყოფილებს კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებს, შეიძლება ყოველთვის არ იყოს ადეკვატურად კაპიტალიზირებული. ამის მიზეზია ის, რომ კაპიტალის ადეკვატურობის სტანდარტები დაწესებულია საკრედიტო და საბაზრო რისკის გათვალისწინებით. თუმცა, არსებობენ სხვა რისკებიც, როგორიცაა, მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის რისკი, სავალუტო რისკი და ლიკვიდობის რისკი, რომლებიც არაა გათვალისწინებული. თუ ბანკს ექნებოდა რომელიმე ამ რისკთაგანი წარმოდგენილი მნიშვნელოვანი ოდენობით, საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ) განიხილავდა ბანკისათვის კაპიტალის მოთხოვნის გაზრდის შესაძლებლობას.

ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის განსაზღვრის პროცესი იწყება კრიტიკული ცვლადების ხარისხობრივი შეფასებით, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენენ ბანკის საერთო ფინანსურ მდგომარეობაზე. მათ მიეკუთვნება:

(1) აქტივები – მათი ხარისხი, ტიპი, ლიკვიდურობა და ღირებულება (ბალანსგარეშე ოპერაციების ჩათვლით), ნეგატიურად კლასიფიცირებულ აქტივებთან კავშირში, აუცილებელ ფაქტორებს წარმოადგენენ კაპიტალის და სესხ-



ების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ადეკვატურობის განსაზღვრის პროცესში.

(2) სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი სესხების შესაძლო დანაკარგების არაადეკვატური რეზერვი მოითხოვს დამატებითი ხარჯების გაწევას მიმდინარე პერიოდში, რაც შეამცირებს მოგების ოდენობას. იმასთან დაკავშირებით, რომ საიმედო სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი, რომელიც უნდა შედიოდეს მეორად კაპიტალში, შეზღუდულია მთლიანი რისკით შეწონილი აქტივების 1.25%-მდე, დამატებითმა ხარჯებმა შეიძლება გაზარდოს რეზერვის დონე ამ ზღვრულ მნიშვნელობაზე მეტად, და შედეგად, მნიშვნელოვანი რაოდენობა არ შევა მეორადი კაპიტალის შემადგენლობაში.

(3) მოგება – ბანკის მიმდინარე და ისტორიული მოგება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც განხილულ უნდა იქნას კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესში. მაღალი მოგება ბანკს საშუალებას აძლევს დააფინანსოს საკუთარი ზრდა, ბაზარზე შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა და ფლობდეს საკმარისი კაპიტალის მტკიცე პოზიციას.

(4) ლიკვიდობა და სახსრების მართვა სხვა თანაბარ პირობებში, რაც უფრო დაბალია ბანკის ლიკვიდობის დონე ან მაღალია საპროცენტო განაკვეთის რისკის საერთო დონე, მით უფრო მაღალი უნდა იყოს კაპიტალის მოთხოვნები. ბანკის ლიკვიდობის პოზიციამ შეიძლება გავლენა იქონიოს საჭირო კაპიტალის დონეზე. მსგავსად ამისა, ბანკებმა რომლებიც დგანან საპროცენტო განაკვეთის ჭარბი რისკის წინაშე, შეიძლება განიცადონ კაპიტალის დონის მნიშვნელოვანი კლება, როგორც საპროცენტო განაკვეთის არახელსაყრელი ცვლილების შედეგი.

(5) საბალანსო უწყისის სტრუქტურა – ბალანსის შედგენილობა გვიჩვენებს, წარმოიქმნა თუ არა ბანკში აქტივების და/ან ვალდებულებების ზედმეტი კონცენტრაცია და ხომ არ იჩენს მენეჯმენტი რისკისადმი ზედმეტ ტოლერანტობას, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში არსებობს კაპიტალის შემცირების მაღალი რისკი.

ბანკს, რომელიც იჩენს რისკისადმი მიდრეკილებას და, რომლის ბალანსში კონცენტრაციის დონე მაღალია, სჭირდება უფრო დიდი მოცულობის კაპიტალი, შესაბამისად: უნდა დადგინდეს როგორც აქტივების, ასევე ვალდებულებათა კონცენტრაციის ხარისხი.

ბანკს, რომლის შემოსავლიანი აქტივები არ არის დივერსიფიცირებული, ან რომლის საკრედი-

ტო კულტურაც უფრო ტოლერანტულია რისკის მიმართ, უნდა ჰქონდეს კაპიტალის უფრო მაღალი დონე, ვიდრე იგივე სიდიდის ბანკს კარგად დივერსიფიცირებული ნაკლებად რისკიანი ინვესტიციებით.

კაპიტალის ადეკვატურობა შეიძლება ასევე გააანალიზდეს ბანკის სადეპოზიტო ანგარიშების ისტორიული და დაგეგმილი ზრდის ტემპის კრილში. თუ ბანკი ემსახურება ბაზარს, რომელიც სწრაფი ტემპით ვითარდება და გაუნაწილებელი მოგების ზრდა ჩამორჩება დეპოზიტების ზრდას, ნათელია რომ მენეჯმენტმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ყველა შესაძლო ხერხით კაპიტალის გაზრდაზე.

ზრდის ტენდენციასთან ერთად, დეპოზიტების სტრუქტურაში ცვალებადი სადეპოზიტო ანგარიშების ან კონცენტრაციების არსებობა ასევე მნიშვნელოვანია. რაც უფრო მაღალია სადეპოზიტო ბაზის არასტაბილურობა, მით უფრო მაღალია საჭირო კაპიტალის დონე.

(6) ბალანსგარეშე მუხლები და საქმიანობა – ბალანსგარეშე მუხლები დაფინანსების შემდეგ ექვემდებარება კაპიტალის მიმართ იგივე მოთხოვნებს, რასაც საბალანსო მუხლები. ამ მუხლების მნიშვნელოვანი ნაწილის დროის მოკლე მონაკვეთში დაფინანსების შემთხვევაში ბანკის კაპიტალის დონე საკმარისი უნდა იყოს აქტივების ხარისხის და რაოდენობის შესანარჩუნებლად¹.

(7) ადგილობრივი მახასიათებლები – კლიენტურის ტიპი და ადგილობრივი ბიზნესის, ინდუსტრიის ან სოფლის მეურნეობის სტაბილურობა და დივერსიფიკაცია ასევე გასათვალისწინებელი მნიშვნელოვანი გარემოებებია. ამ საოპერაციო გარემოს შესაძლო ცვლილება და საბანკო და არასაბანკო კონკურენციის ზეწოლა ფინანსური მომსახურების გაწევის პროცესში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

(8) ურთიერთობა პოლდინგურ კომპანიასთან თუ ბანკი წარმოადგენს პოლდინგური კომპანიის შვილობილ საწარმოს და საჭიროებს დამატებით კაპიტალს, ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივი მიდგომა შეიძლება იქნას გამოყენებული პრობლემის გადასაჭრელად, რაც მდგომარეობს დამფუძნებელი ორგანიზაციის მიერ ნასესხები სახსრების მოზიდვაში შვილობილი ბანკის ახლად გამოშვებული აქციების შესაძენად. ამ პროცესს „ორმხრივ ლევერიჯს“ უწოდებენ. ბანკის ფინანსური დოკუმენტების და ოპერაციის შედეგების მთლიანობაში შესწავლა

¹ ასევე, სასამართლო პროცესი, სადაც ბანკი მოპასუხის როლში გამოდის ან სხვა პირობითი ვალდებულება, შეიძლება მიუთითებდეს კაპიტალის დაცვის აუცილებლობაზე.



ხელსაყრელი აღმოჩნდებოდა კაპიტალის ზრდის თვალსაჩინოებისთვის. პოლდინგური კომპანიის პოზიციიდან გამომდინარე, დამატებით კაპიტალიზაციაზე გავლენას იქონიებდა ვალი და ამ ვალის მომსახურების ძირითადი საშუალება იქნებოდა შვილობილი ბანკის მიერ დივიდენდების გადახდა. ამგვარად, არასათანადო დასკვნები შეიძლება იქნას გამოტანილი, თუ ანალიზი ფოკუსირებული იქნება მხოლოდ შვილობილ ორგანიზაციაზე. კერძოდ, უნდა გაირკვეს, შესწევს თუ არა ბანკს უნარი, შეინარჩუნოს კაპიტალის ადეკვატური დონე, პოლდინგური კომპანიის მიერ მოთხოვნილი დივიდენდების გათვალისწინებით.

შვილობილი კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, მათი ფინანსური ურთიერთობები ბანკთან და მასზე დამოკიდებულება, ოპერაციები ბანკსა და მის შვილობილ კომპანიებს შორის შესაძლო გავლენას იქონიებს ბანკის კაპიტალის პოზიციაზე. შესაძლებლობის შემთხვევაში, ასევე უნდა განვაალიზოთ და განიხილოთ კონსოლიდირებული ბანკის კონსოლიდირებული კაპიტალის კოეფიციენტები და ის ფაქტორები, რომლებიც კონსოლიდირებული კაპიტალის კოეფიციენტებს ზრდიან ან ამცირებენ;

ხარისხობრივი ფაქტორების გარდა, არსებობს სხვადასხვა რაოდენობრივი შეფასებებიც, რომლებიც მიუთითებენ კაპიტალის ადეკვატურობაზე. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია:

(ა) *კაპიტალის აქტივებთან ფარდობის კოეფიციენტი* – ეს კოეფიციენტი სხვა არაფერია, თუ არა ბანკის უნარის განსაზღვრა გაუძლოს უარყოფით ზეგავლენას. მაღალი კოეფიციენტი თავისთავად არ მიუთითებს ბანკის სიმტკიცეზე, ისევე როგორც დაბალი კოეფიციენტი აუცილებლად არ მიუთითებს ბანკის გარდაუვალ კრახზე;

(ბ) *კაპიტალის ზრდის ფარდობა აქტივების ზრდასთან* – ამ კოეფიციენტის მეშვეობით ხდება ბანკის რესურსების ზრდის და ბანკის კაპიტალის ზრდის ტემპების ერთმანეთთან შედარება. როდესაც ეს მაჩვენებელი ერთზე ნაკლებია, ეს ნიშნავს რომ აქტივები კაპიტალთან შედარებით უფრო სწრაფად იზრდება, ამიტომ კაპიტალის პოზიცია მცირდება და იზრდება ფინანსური ლევერიჯი;

(გ) *დივიდენდების მოგებასთან ფარდობა* – ეს კოეფიციენტი ასახავს მენეჯმენტის გადაწყვეტილებას, თუ მოგების რა ნაწილი უნდა გაიცეს აქციონერებზე დივიდენდების სახით და რა ნაწილი უნდა დაემატოს გაუნაწილებელ მოგებას. დივიდენდების მეტად ლიბერალურმა პოლიტიკამ შეიძლება კაპიტალის გამოფიტვა

გამოიწვიოს. კოეფიციენტის ანალიზის გონივრული გამოყენება მოიცავს ინდივიდუალური კოეფიციენტების დონის და ცვლილების ტენდენციის გათვალისწინებას და ურთიერთდამოკიდებულებას კოეფიციენტებს შორის. ეს კოეფიციენტები უნდა შეუდარდეს მსგავსი ბანკების ჯგუფის საშუალო მაჩვენებელს და შესწავლილ იქნეს ჯგუფის საშუალოსგან მნიშვნელოვანი გადახრების ცვლილების ტენდენციები.

საგულისხმოა, რომ ფინანსური ანგარიშგების პერიოდში ბანკის კაპიტალის ცვლილება გაუტოლდება ამ პერიოდისთვის მის წმინდა შემოსავალს პლუს ახალი აქციების გაყიდვით მიღებული შემოსავალი, მინუს დივიდენდები და არსებული აქციების რაოდენობა, რომელსაც ბანკი უკან ყიდულობს. ფაქტობრივად განსხვავება არ არსებობს დივიდენდების გადახდასა და აქციების გამოსყიდვას შორის. ორივე მეთოდი ფულს უბრუნებს აქციონერებს, რასაც კაპიტალის განაწილება ეწოდება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, კაპიტალი იმ ფირმებისკენ მიედინება (ბანკების ჩათვლით), რომლებიც ინვესტირებს უკუგების მაღალ კოეფიციენტს სთავაზობენ. წარმატებულ, მომგებიან კომპანიებს შეუძლიათ აქციონერებისთვის სიმდიდრის გადაცემა მაღალი დივიდენდების სახით. ან, ისინი ახდენენ მოგების აკუმულირებას გაუნაწილებელი მოგების სახით და დროდადრო გამოისყიდნიან აქციებს ხელსაყრელ ფასად. ყველაზე წარმატებულ კომპანიებში, აქციონერების მხრიდან არ არსებობს არანაირი ზეწოლა დივიდენდების გადახდის ან აქციების ხელახლა შესყიდვის მოტივით. იმდენად, რამდენადაც მათ იციან, რომ მაღალი უკუგების ინვესტიციების ბევრი ალტერნატივა არ არსებობს, ისინი კმაყოფილნი არიან ფირმის კაპიტალში არსებული ინვესტიციების ზრდით.

ჩვეულებრივ, ზეწოლა დივიდენდების გადახდასთან დაკავშირებით მაღალია წარუმატებელ და არამომგებიან კომპანიებში. აქციონერებს სურთ გამოიტანონ ფული, რათა ინვესტირება უფრო წარმატებულ კომპანიებში განახორციელონ. კრედიტორებს, მეორე მხრივ, არ სურთ კაპიტალმა რომ კომპანია დატოვოს. ისინი ხშირად შეზღუდვებს აწესებენ კაპიტალის განაწილებაზე, რაც კრძალავს გადახდას იმ შემთხვევაში, თუ ფირმა ზარალს განიცდის. ამ დროს, კაპიტალის მფლობელები იძულებულნი არიან განიცადონ ზარალი.

კაპიტალის ანალიზი მოიცავს კაპიტალის ანგარიშების სისწორეს, კაპიტალის პოლიტიკის, დივიდენდების და ადეკვატურობის შეფასებას, შედეგებიდან კი გამომდინარეობს ბანკის რეიტინგის განსაზღვრა.



საყოველთაოდ მიღებული საბანკო პრაქტიკის თანახმად, ბანკის მენეჯმენტმა უნდა შეიმუშაოს კაპიტალის პოლიტიკა², რომელიც რეგულარულად უნდა განიხილებოდეს და მტკიცდებოდეს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. კაპიტალის პოლიტიკა არის დოკუმენტი, რომელიც წარმოაჩენს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და მენეჯმენტის ფილოსოფიასა და მიზნებს ბანკის კაპიტალთან მიმართებაში. იგი უნდა მოიცავდეს:

- კაპიტალის მაქსიმალური და მინიმალური დონეების განსაზღვრასა და დადგენას;
- არსებული პოლიტიკიდან გადახრის აღნიშვნის და მისი აქცეპტირების პროცედურებს;
- შესაძლო გზებისა და ალტერნატიული რესურსების წყაროების ჩამონათვალს, იმ შემთხვევისთვის, თუ კაპიტალის დონე დაიწვეს დადგენილ ზღვარს ქვემოთ და/ან შეიქმნება რაიმე ფინანსური სიძნელეები;
- კაპიტალის მოცულობის სასურველი ზრდის ტემპს და გაუნაწილებელი წმინდა მოგების ოდენობას.

კაპიტალის ადეკვატურობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება კაპიტალის დონე ბანკის ფინანსურ მდგომარეობასთან მიმართებაში, პრობლემური და უხარისხო აქტივებისა და ბალანსგარეშე საქმიანობის ბუნება, სიდიდე და მიმართულება; ბანკის ბალანსის შემადგენლობა; ბანკის არსებული და დაგეგმილი ზრდა და ბანკის მენეჯმენტის სიძლიერე.

უახლესი ფინანსური ინფორმაციის გამოყენებით უნდა:

- განისაზღვროს, არის თუ არა კაპიტალი საკმარისი აქტივებსა და ვალდებულებებში ნებისმიერი არასტაბილურობის ან დანაკლისის (რაც იწვევს ლიკვიდობის შემცირებას) კომპენსაციისათვის;
- შეფასდეს ბანკის დეპოზიტების და ნახევრები სახსრების ცვლილების ტენდენციების, რათა განისაზღვროს ხდება თუ არა კაპიტალის შენარჩუნება ისეთ დონეზე, რომ ბანკმა არ დაკარგოს დეპოზიტორების და კრედიტორების ნდობა.
- შეფასდეს აქტივების ხარისხის კაპიტალზე გავლენა. კაპიტალის ადეკვატურობა შეიძლება საეჭვო იყოს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კაპიტალის კოეფიციენტები მაღალია, ხოლო აქტივების ხარისხი დაბალი;
- განისაზღვროს საკრედიტო პორტფელის

ხარისხი, არსებულ და პოტენციურ პრობლემური სესხების განხილვის საფუძველზე, ასევე პრობლემური სესხების რა პროცენტულ წილს შეადგენს სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი;

- დადგინდეს ჩამოსაწერი სესხების დაგეგმილი მოცულობა;
- გაანალიზდეს მიმდინარე და პოტენციური დანაკარგების გავლენა ბანკის კაპიტალის სტრუქტურაზე, სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის არაადეკვატურობის შემთხვევაში;
- შესწავლილ იქნეს საინვესტიციო პორტფელის ანალიზით მიღებული მიღებული შედეგები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მენეჯმენტის მიმდინარე საინვესტიციო აქტივობასთან დაკავშირებულ რისკის დონეს;
- განისაზღვროს მენეჯმენტის კომპეტენტურობის დონე, არის თუ არა მენეჯმენტი ჩართული სარისკო საინვესტიციო საქმიანობაში, ახორციელებს თუ არა ბანკი ინვესტიციებს არამყარ ფასიან ქაღალდებში, რადგან ამ უკანასკნელის ღირებულების სწრაფმა ცვლილებამ შეიძლება ნეგატიური გავლენა იქონიოს ბანკის კაპიტალის დონეზე;
- გაანალიზებულ იქნეს ისეთი აქტივები, როგორიცაა სახაზინო ვალდებულებები, რომლებიც საბალანსო უწყისში სათანადოდ არ არის შეფასებული და ნაჩვენებია საბაზრო ღირებულებაზე დაბალი ღირებულებით;
- განხილულ იქნეს დანაკარგების შთანთქმის მექანიზმი, რომელიც შეიძლება შექმნილი იყოს ნებისმიერი სუბორდინირებული ვალის მიერ, რომელიც არ შედის მეორადი კაპიტალის შემადგენლობაში, რადგან პირველადი კაპიტალის მაქსიმუმ 50%-ს უნდა შეადგენდეს;
- გაანალიზებულ იქნეს ბანკის საპროცენტო განაკვეთის რისკი და დადგინდეს, უნდა გააძლიეროს თუ არა ბანკმა თავისი კაპიტალის პოზიცია რისკის დონიდან გამომდინარე;
- შეფასებულ იქნეს გარესაბალანსო მუხლების პოტენციური გავლენა;
- განისაზღვროს, წარმოიქმნება თუ არა ბანკში აქტივების და/ან ვალდებულებების ზედმეტი კონცენტრაცია და ხომ არ იქნეს მენეჯმენტი რისკისადმი ზედმეტ ტოლერანტობას. ასეთ შემთხვევაში არსებობს კაპიტალის შემცირების მაღალი რისკი. ბანკს, რომელიც იქნეს რისკისადმი მიდრეკილუბას და რომლის ბალანსში კონცენტრაციის დონე მაღალია, სჭირდება უფრო დიდი მოცულობის კაპიტალი, შესა-

² კაპიტალის პოლიტიკა არ უნდა იყოს წინააღმდეგობაში იმ ოფიციალურ დოკუმენტებთან, რომლებიც სავალდებულოა ამ ბანკისთვის (ბიზნეს გეგმასთან, წესებთან და სხვა დოკუმენტებთან).



ბამისად, უნდა დადგინდეს როგორც აქტივების, ასევე ვალდებულებათა კონცენტრაცია;

■ განისაზღვროს მიმდინარე და პოტენციური მოგების დონე. მენეჯმენტს უნდა შეეძლოს კაპიტალის უზრუნველყოფის სქემის განსაზღვრა ბანკის მოგებასთან მიმართებაში. დაბალმა შემოსავლებმა შეიძლება პირდაპირი გავლენა იქონიოს კაპიტალზე, რადგან ზარალიან ბანკს არ შეუძლია გაზარდოს, ან შეავსოს თავისი კაპიტალი საკუთარი სახსრებით, შესაბამისად, მოგების ანალიზმა უნდა მოგვცეს ინფორმაცია მიმდინარე და მოსალოდნელი წმინდა მოგების რაოდენობის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა მოგების განაწილება წარსულში.

■ დადგინდეს დივიდენდების გაცემის მიზანშეწონილობა სხვადასხვა ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ კაპიტალის მიმდინარე (არსებულ) დონეზე და მომავალ მოთხოვნებზე.

ბანკს რომელსაც არა აქვს უნარი უზრუნველყოს საკმარისი ოდენობის კაპიტალი, გამუდმებით სჭირდება კაპიტალის გარეშე წყაროები. ბანკმა უნდა შეძლოს მოიპოვოს კაპიტალის დამატებითი წყაროები. დიდ, დამოუკიდებელ ორგანიზაციებს კაპიტალის ბაზრებიდან სახსრების მოზიდვის მეტი შესაძლებლობა აქვთ. შედარებით მცირე ორგანიზაციები, დამატებითი სახსრების მოპოვებისას ან ახალი აქციების გამოშვებისას, ძირითადად იმედებს ამყარებენ აქციონერებზე, ან ბანკის მაკონტროლებელ ჯგუფზე.

პერიოდულად სეზმა შეიძლება ცვლილებები შეიტანოს კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ დებულებაში მოთხოვნით, რომ მომავალში, გარკვეული ტიპის აქტივებმა (ყველამ ერთად ან ეტაპობრივად), მონაწილეობა არ მიიღონ კაპიტალის გამოთვლაში. მენეჯმენტმა უნდა განსაზღვროს რამდენად მოეთხოვება ბანკს საზედამხებელო კაპიტალის კოეფიციენტის გაზრდა³ იმაზე მეტად, ვიდრე ეს ბანკებს ჩვეულებრივ მოეთხოვებათ. ბანკის კაპიტალის პოზიციის ადეკვატურობის ანალიზი მოიცავს კაპიტალის და დივიდენდების პოლიტიკის ანალიზს. კაპიტალის პოლიტიკა უნდა იყოს სრული და შეიცავდეს ბანკის განაცხადს, ითვალისწინებდეს კაპიტალის მოცულობის რეალურ ზედა და ქვედა ზღვრებს. საქართველოს ეროვნული ბანკის მინიმალური მოთხოვნებისაგან დამოუკიდებლად, ბანკის მენეჯმენტი უნდა ახორციელებდეს ბანკის კაპიტალზე მოთხოვნილების ანალიზს, დასახული რეალური და შესრულებადი მიზნებისა და ამოცანების რეალიზებას.

დასკვნა: ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის შეფასების უმთავრეს ფაქტორად საბანკო კაპიტალი ანუ ბანკის საკუთარი სახსრები მიიჩნევა. შესაბამისად, კაპიტალი როგორც საკუთარი საფინანსო რესურსი, განსაზღვრავს ბანკების უნარს დაკრედიტებაზე და რისკების ნეიტრალიზაციაზე, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული ნდობისა ფაქტორზე მეანაბრებისა და კრედიტორების მხრიდან, წარმოქმნილი ვალდებულებების გასტუმრების უნარის თვალსაზრისით. უნდა აღნიშნოთ, რომ მიუხედავად გლობალური კრიზისის ზეგავლენისა ქართულ ეკონომიკაზე საქართველოში მოქმედ ბანკებს აქვთ ძლიერი კაპიტალის ბაზა – ბანკის საზედამხებელო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი ანუ კაპიტალის თანაფარდობა რისკების მიხედვით შეწონილ აქტივებთან⁴.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, საკუთარი კაპიტალის აბსოლუტური მნიშვნელობა ვერ იქნება ბანკის საიმედოობის მახასიათებელი, რადგანაც იგი არ ასახავს საბანკო რისკის დასაშვები დონის სრულ სურათს ბანკის კრედიტორებისა და მეანაბრებისთვის. ამ შემთხვევაში, უნდა განისაზღვროს, რამდენად არის ბანკის საკუთარი კაპიტალის ღირებულება ბანკის აქტივებთან შესაბამისობაში. ხოლო მეორე მხრივ, ბანკის საკუთარი კაპიტალი არ შეიძლება იზრდებოდეს განუსაზღვრელად, არსებობს ე.წ. ზრდის ოპტიმალური ზომა. ცალსახა პასუხი კითხვაზე, თუ რამდენი უნდა იყოს ბანკის საკუთარი კაპიტალი, შეუძლებელია იყოს ზუსტი, რადგან თითოეული ბანკი თავისთავაზე იღებს გარკვეულ რისკს. თუმცა, მხოლოდ ბანკის სურვილი არ არის საკმარისი კაპიტალის ოდენობის დასადგენად. ბანკმა უნდა შეავსოს და გაზარდოს სააქციო კაპიტალი აქტივების ზრდისა და მოზიდულ სახსრებზე საბანკო ოპერაციების რისკების შესაბამისად. ფაქტობრივად, ბანკის მოქმედება კაპიტალის შევსება გადადოს უკეთესი პერიოდის/მომენტის მოლოდინში, შესაძლოა გახდეს ფინანსური სირთულეების და, უფრო მეტიც, მისი გაკოტრების მიზეზი. აღნიშნული ცხადყოფს, რომ ერთერთი ბანკის პრობლემამ არ შეიძლება გავლენა იქონიოს მთელს საბანკო სისტემაზე. ამიტომ ზრუნვა კაპიტალის ადეკვატურობაზე – ეს მხოლოდ ცალკეული ბანკების კი არა, არამედ მთელი საბანკო სისტემის საქმეა.

³ მაღალი კოეფიციენტის მოთხოვნა შეიძლება საჭირო გახდეს იმ რისკების გამო, რომლებიც არაა აღნიშნული საზედამხებელო კაპიტალის სტანდარტებში.

⁴ საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნის თანახმად, მინიმუმ 12%-ს უნდა შეადგენდეს.



გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი ვ., ცაავა გ. კომერციული ბანკების საქმიანობის ფინანსური ანალიზი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა). თბილისი, 2014. – 500 გვ.
2. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ. თანამედროვე საბანკო საქმე. სახელმძღვანელო. თბილისი, 2014. – 567 გვ.
3. კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე ბრძანება №100/04, სეპი 2013 წლის 28 ოქტომბერი, ქ. თბილისი.
4. Адекватности капитала коммерческих банков: <http://lektsii.com/>.
5. კომერციული ბანკების ადგილზე შემოწმების მეთოდური სახელმძღვანელო, 2007 წლის 25 სექტემბრის 250 ბრძანებით, სეპი. – თბილისი, 2007.
6. ბორჩაშვილი ბ., საბანკო რისკების მართვის თავისებურებების აქართველოში. – თბილისი: თსუ, 2011.
7. დებულება „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“, სეპ, ბრძანება №71, 2008.

THE BANK'S OWN CAPITAL ADEQUACY ASSESSMENT METHODS

MERAB VANISHVILI – Ph. D, professor of GTU

E-mail: merabvanishvili@yahoo.com

IRMA LOMADZE – doctoral candidate of GTU

E-mail: irma_lom@yahoo.com

DAVID KHACHAPURIDZE – doctoral candidate of GTU

Summary

Article, according the latest literary sources, discusses the Bank theory and practice important issue, such as commercial banks' own capital adequacy assessment methods.

Today commercial banks are one of the most important economic institutions in any country. They provide a prompt transfers/accounting among economic agents, provide community and companies investments, savings and economic development. The country's economy and banking sector are very closely linked. On the one hand, the banking sector's stability is crucial for economic growth and strengthen the financial funds effective investments. On the other hand, the macroeconomic environment is affecting the banking sector and the stability of the situation.

In the context of globalization and international integration the economy is more transparent and open, and it becomes more sensitive to external / global macroeconomic shocks. This is confirmed by the fact that the frequent crises in the world are getting more serious scales and results. The crises is affecting different areas of the economy, including the banking sector stability.

Therefore, the researchers are now focused on the influence of macroeconomics shocks in the banking sector. The issues is very relevant, because during the crisis, banks and their stability depends largely on how quickly and with minimal losses the country could overcome the macroeconomic shocks. And a large extent depends on the bank's ability to properly estimate own capital adequacy.

The answer to the question, how many must be the bank's capital could not be precise, because each bank itself takes certain risks. However, only the bank's intentions to estimate the capital are not enough. The Bank must fill and increase the equity capital according the assets and liabilities bank operations' risks.

Key words: globalization, macroeconomic shocks, its own capital sufficiency, adequacy of capital, financial leverage, Tier II capital.